



პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ
(2014 წლის 19-20 ოქტომბერი)

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 19-20 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. წინამდებარე ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის N187 ბრძანების თანახმად, სასჯელაღსრულების მე-14 დაწესებულება წარმოადგენს ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. დაწესებულება განკუთვნილია 2690 მსჯავრდებულის განთავსებისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულებაში 1030 სრულწლოვანი მსჯავრდებული მამაკაცი იმყოფებოდა, აქედან 60 (5.8%) მსჯავრდებული დასაქმებული იყო სამეურნეო ნაწილში.

2. არასათანადო მოპყრობა

ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრებს პატიმრებისაგან არ მიუღია ინფორმაცია სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკურ ძალადობის შემთხვევების შესახებ.¹

3. უსაფრთხოება

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას, კერძოდ, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკას.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას სწორედ ე.წ. „დინამიური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და

¹ 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების გამოძიების წინადადებით საქართველოს მთავარ პროკურორს 2 შემთხვევაში მიმართა.

პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.²

ვინაიდან უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ადგილზე არ იყო, უსაფრთხოების საკითხებზე გავესაუბრეთ დაწესებულების დირექტორსა და მის მოადგილეს. როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა საკმაოდ ხშირია პატიმართა შორის კონფლიქტი. დაწესებულებაში ფიზიკური ძალადობის ფაქტების არსებობაზე მიუთითებს ასევე დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალში მოცემული ჩანაწერების ანალიზი. რამდენიმე შემთხვევაში დაზიანების ხარისხი და ლოკალიზაცია აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ შემოწმებული პატიმრის მიმართ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ფიზიკურ ძალადობას. სამწუხაროა, რომ ასეთ შემთხვევებში სამედიცინო პერსონალის მიერ შესაბამის გრაფაში დაზიანების წარმოშობის მიზეზად მითითებულია ან საყოფაცხოვრებო ტრავმა, ან მიზეზი საერთოდ არ არის მითითებული.

დაწესებულებაში შეიმჩნევა ციხის სუბკულტურის გარკვეული გავლენა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მიიღოს სათანადო ზომები ამ გავლენის შესამცირებლად. პირველ რიგში, დაწესებულებაში უნდა გატარდეს ყველა საჭირო ზომა დანაშაულის პრევენციის მიზნით, გამოვლინდეს დანაშაულის ფაქტები და განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. ამასთან, ციხის სუბკულტურის გავლენის შემცირების თვალსაზრისით აუცილებელია განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობების გაძლიერებას, პატიმართა მიმართ ჰუმანურ და სამართლიან მოპყრობას.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის დამონტაჟებული სათვალთვალო კამერები. იმ შემთხვევაში თუკი მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა, იგი გადაჰყავთ სხვა დაწესებულებაში, სადაც არსებობს შესაბამისად აღჭურვილი საკნები.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფმა შეამოწმა „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გეგუთის ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების უსაფრთხო ადგილზე მსჯავრდებულთა მოთავსების აღრიცხვიანობისა და რეგისტრაციის ჟურნალი“. აღნიშნული ჟურნალის წარმოება დაიწყო 2004 წლიდან. ჟურნალის მიხედვით 2014 წლის 1 იანვრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით 69 მსჯავრდებული იყო მოთავსებული უსაფრთხო ადგილზე (ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე მსჯავრდებული რამოდენიმეჯერ). უსაფრთხო ადგილას მოთავსების მაქსიმალური ვადა აღნიშნული ჟურნალის თანახმად არის 30 დღე.

² United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22.

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განცხადებით დაწესებულებაში ხელბორკილის გარდა არ ინახება კანონით გათვალისწინებული ³ სხვა სპეციალური საშუალებები. თანამშრომლებს სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგი არ გაუვლიათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში იკვეთება პრობლემები უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ზომები არ არის საკმარისი პატიმართა შორის ძალადობის პრევენციისთვის.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება.
2. პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, უზრუნველყოს სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების ვიდეომეთვალყურეობის სისტემით აღჭურვა.
3. შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე.
4. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მუშაობის პრაქტიკა და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა სათანადო სწავლებისა და ძალადობის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გაძლიერების გზით.
5. N14 დაწესებულებაში გატარდეს ყველა საჭირო ზომა დანაშაულის პრევენციის მიზნით, გამოვლინდეს დანაშაულის ფაქტები და განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. ამასთან, ციხის სუბკულტურის გავლენის შესამცირებლად გაძლიერდეს დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობები, უზრუნველყოფილ იქნას პატიმართა მიმართ ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა.

4. პატიმრობის პირობები

³ პატიმრობის კოდექსის 57¹ მუხლი.

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

N6 კორპუსში საკნების ზომა შეადგენს 18-20 კვადრატულ მეტრს. აქედან საპირფარეშოს უკავია 3,4 კვადრატული მეტრი. საკანი გათვალისწინებულია ექვს პატიმარზე, შესაბამისად, განთავსებულია ექვსი საწოლი. დაწესებულებაში ყველა პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი 4 კვადრატული მეტრის ფართობით.

საკანს აქვს ერთი მეტალო-პლასტმასის ტიპის ფანჯარა, გისოსებიანი, ზომით 1.8 კვადრატული მეტრი. საკანში არის საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათება. ფუნქციონირებს გათბობის ცენტრალური სისტემა, საკნების ვენტილაცია სათანადოდ არ ხდება. საპირფარეშო და ხელსაბანი განთავსებულია საპირფარეშოში. საკანში დგას ორ იარუსიანი რკინის საწოლები, ინდივიდუალური კარადები, მაგიდა და სკამები, უმეტეს საკნებში აქვთ ტელევიზორები.

მსჯავრდებულები საერთო საშხაპეთი შეუზღუდავად სარგებლობენ. საშხაპე არ არის გადატიხრული, ონკანებს შორის მანძილი შეადგენს ერთ მეტრს. შხაპის მიღების დროს განმარტოება შეუძლებელია. საშხაპით სარგებლობა ერთდროულად შეუძლია 6 პატიმარს. პატიმრების გადმოცემით, კანალიზაციის სისტემა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მოხმარებული წყლის გამტარობას, რის გამოც საშხაპეში გუბდება წყალი. ვენტილაციის სისტემის გაუმართაობის გამო საშხაპეში გროვდება ორთქლი.

საექიმო-სამედიცინო პუნქტში არსებული პალატების ფართი მერყეობს 12 კვადრატული მეტრიდან 18 კვადრატულ მეტრამდე. სამედიცინო ნაწილი გათვლილია 30 პაციენტზე. პალატას აქვს ერთი მეტალო-პლასტმასის ფანჯარა გისოსის გარეშე, ზომით 1.7 კვადრატული მეტრი. უზრუნველყოფილია საკმარისი ბუნებრივი და ხელოვნური განათება. პალატის გათბობა ხდება გათბობის ცენტრალური სისტემით. პალატაში არ არსებობს სავენტილაციო სისტემა, ასევე არ არის ონკანი და საპირფარეშო. პატიმრებს უწევთ დერეფანში განლაგებული საპირფარეშოსა და პირსაბანის გამოყენება. კედლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. იატაკი მოპირკეთებულია მეტლახით, არის კარგ მდგომარეობაში. საექიმო-სამედიცინო პუნქტის საშხაპე და სამრეცხაო მოთავსებულია ერთ სივრცეში. მისი ზომაა 19 კვადრატული მეტრი. ერთმანეთის გვერდზე განთავსებულია ორი შხაპი, რომელიც არ არის ერთმანეთისაგან ტიხრით გამოყოფილი.

სამედიცინო ნაწილში სამანიპულაციო ოთახის სანიტარული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამასთან, ოთახი იზოლირებულია მიმღები ოთახისგან მხოლოდ ფარდით.

სამართლო და საკარანტინო საკნები განლაგებულია შენობის ერთსა და იმავე ნაწილში. შენობის შესასვლელში განლაგებულია ფსიქოლოგისა და სამართლებრივი რეჟიმის ინსპექტორ-კონტროლიორების ორი ოთახი. დერეფანში ერთმანეთის საპირისპიროდ განთავსებულია 15 საკანი. დერეფანი გადატიხრულია რკინის გისოსებიანი კარით, რომლის მიღმაც მდებარეობს ე.წ.

„უსაფრთხოების“ 5 საკანი, სადაც, სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების თანამშრომელთა განმარტებით, პატიმარს ათავსებენ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

საკნებში იატაკი ბეტონისაა. საკნებში არის საწოლები, მაგიდა (№11 საკანში მაგიდა არ არის), სკამები და ინდივიდუალური კარადები; საკნებში არის პირსაბანი ნიჟარა და საკნისგან იზოლირებული საპირფარეშო; საკნებში არის თითო მეტალოპლასტმასის ჩარჩოში ჩასმული ფანჯარა, რომლებზეც შიგნიდან დამონტაჟებულია რკინის ბადე, ხოლო გარედან გისოსები, რაც ზღუდავს საკნებში ბუნებრივი განათების შეღწევას და აფერხებს ჰაერის მოძრაობას. (№3 და №15 საკნებში ფანჯრები არ იღება); საკნებში ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია; ხელოვნური ვენტილაცია არ არის; საკნებში შეყვანილია და მუშაობს გათბობის სისტემა.

საკარანტინო ნაწილი შედგება 2 საკნისგან, რომელიც განკუთვნილია 28 და 38 პატიმრის მოსათავსებლად. საკანში იატაკი ბეტონისაა, დგას ორ იარუსიანი საწოლები და ინდივიდუალური კარადები; თითოეულ საკანში არის 3 ფანჯარა, რომელზეც შიგნიდან დამონტაჟებულია რკინის ბადე, ხოლო გარედან გისოსები, რაც ზღუდავს საკნებში ბუნებრივი განათების შეღწევას და აფერხებს ჰაერის მოძრაობას; საკნებში ხელოვნური განათება არ არის დამაკმაყოფილებელი, ხოლო ხელოვნური ვენტილაცია საერთოდ არ არის; საკნების შიგნით შეყვანილია გათბობის სისტემა. თითოეულ საკანში იზოლირებული სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი. ჯგუფის წევრების ვიზიტის დროს, სადგომში პატიმრები არ იმყოფებოდნენ. სამართლო საკნებსა და საკარანტინო განყოფილებას გააჩნია საკუთარი სასეირნო ეზო, რომელიც ნახევრად გადახურულია და შემოღობილია რკინის ბოძებზე შეკიდული რკინის ბადით. პატიმრების განცხადებით, მათ ყოველდღიურად, საკვების მიღების შემდეგ, საშუალება აქვთ ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე.

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსი N5. კორპუსი არის ორ სართულიანი. აღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსში შესახლებულია 37 მსჯავრდებული. ორივე სართულზე განლაგებულია საცხოვრებელი ოთახები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საცხოვრებელ ოთახებში მსჯავრდებულები არათანაბრად არიან განაწილებული, რის გამოც, პირველ სართულზე არსებულ საცხოვრებელ ოთახები გადატვირთულია. საცხოვრებელ ოთახებში არსებული პირობები არადამაკმაყოფილებელია. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა აღნიშნულ კორპუსში სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რის გამოც ამ კორპუსში მოთავსებული პატიმრები უნდა გადაეყვანათ სხვა საკნებში.

ვიზიტის მიმდინარეობისას ასევე შემოწმდა სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო სახლი. იზოლირებული შენობა მოიცავს ორ ოთახს, არის გარემონტებული და აღჭურვილი საჭირო ინვენტარით (მაგიდა, სკამები, 3 ცალი კომპიუტერი). ამ შენობაში პატიმრები გადიან სხვადასხვა კურსებს და ეწყობა სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებები.

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა დაწესებულების სამზარეულო, სადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2014 წლის თებერვალში განხორციელებული ვიზიტის დროს ადგილზე გაიცა რეკომენდაცია სამზარეულოში არსებული ცუდი პირობებისა და არადაამკაყოფილებელი სანიტარიული მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით სარემონტო სამუშაოების ჩატარების შესახებ. მისასალმებელია, რომ დაიწყო აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება და პრევენციის ეროვნული მექანიზმი იმედოვნებს, რომ სარემონტო სამუშაოები სრულყოფილად, გონივრულ ვადაში ჩატარდება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

1. უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარება, კერძოდ,

ა) ძირითად საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამართლო და საკარანტინო საკნებში უზრუნველყოფილი იქნას სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია;

ბ) საშხაპეში მოწესრიგდეს საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემები, პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით, საშხაპე გადაიტვირთოს;

გ) მოხდეს სამედიცინო ნაწილში არსებული სამანიპულაციო ოთახის სათანადო იზოლირება მიმღები ოთახისაგან და დაცული იქნას სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

დ) მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში მოხდეს სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრების განთავსებისთვის განკუთვნილ N5 კორპუსში სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ამასთან, აღნიშნული პატიმრები განთავსებულ იქნან შესაბამის პირობებში და დაცული იქნას მათი უსაფრთხოება.

2. თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას 4 კვადრატული მეტრის ფართით.

4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში პატიმრებს დილიდან საღამომდე შეუძლიათ იმყოფებოდნენ საკნის გარეთ, სუფთა ჰაერზე. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, N6 კორპუსის ეზო ვერ უზრუნველყოფს პატიმართა რეკრეაციას, ვინაიდან ეზო არის მცირე ზომის, ეზოში არ არის ვარჯიშისათვის საჭირო პირობები. პატიმრებს ხელი არ მიუწვდებათ სპორტულ მოედანზე.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

მოხდეს სასაქონლო ეზოს მოსაწყობად სათანადო ფართის გამოყოფა, ეზო მოეწყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ფიზიკური ვარჯიში, უზრუნველყოს სპორტული მოედნის ხელმისაწვდომობა.

მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია, რომ დაწესებულების სოციალური განყოფილების უფროსის თანამდებობა 2 თვის განმავლობაში ვაკანტური რჩებოდა. განყოფილებაში მუშაობს 10 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი. სოციალური განყოფილების თანამშრომლები მუშაობენ შაბათ კვირის გარდა ყოველდღე, 10 საათიდან 18 საათამდე.

სარეაბილიტაციო პროგრამას დაწესებულებაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს, ესენია: “ადამიანი, კანონი და თავისუფლება”, GCRT, “თანადგომა”, “ქალი და ბიზნესი”. 2013 წელს ჩატარდა რამდენიმე სპორტული აქტივობა, ფილმის ჩვენება, კულტურული საღამო, ასევე ჩატარდა ხელობის შემსწავლელი კურსები.

2014 წელს ჩატარდა ფილმების ჩვენება, სარეაბილიტაციო ტრენინგები და 1 კონცერტი. მონიტორინგის ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულებაში დასაქმებული ფსიქოლოგი მოტივირებულია, სოციალური მუშაკთან ერთად განახორციელოს მეტი აქტივობა. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ფსიქოლოგი არ არის უზრუნველყოფილი ელემენტარული სამუშაო პირობებით (არ აქვს კომპიუტერი, არ არის გამოყოფილი სათანადო, სპეციალური ოთახი პატიმრებთან შესახვედრად). ამასთან, ფსიქოლოგის სამუშაო დროის დიდი ნაწილი პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურის ფარგლებში დახასიათებების მომზადებისთვის არის დათმობილი, რაც უარყოფითად აისახება ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესზე.

მონიტორინგის ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულების სოციალური განყოფილების თანამშრომლები სრულად არიან დამოკიდებული დირექტორზე. სოციალური განყოფილების თანამშრომლები პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში ათანხმებდნენ დირექტორთან, თუ რა მონაცემები წარედგინათ მონიტორინგის ჯგუფისათვის. მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ სოციალური განყოფილების საქმიანობის მნიშვნელობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია სოციალური განყოფილებაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგს ჰქონდეთ გარკვეული დამოუკიდებლობა.

პატიმრის სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში მონაწილეობის შემდგომ, სოციალური მუშაკი ადგენს პატაკს ამ პატიმრის დადებითი ქცევის შესახებ და აწვდის დაწესებულების დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წახალისების ფორმა გამოიყენოს პატიმრის მიმართ. შესაბამისი გადაწყვეტილება ინახება მსჯავრდებულის პირად საქმეში. წახალისების სახით შესაძლებელია გამოცხადდეს მაღლობა, დაემატოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემანი, მოეხსნას საყვედური და ა.შ. 2014 წლის 1 იანვრიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში დაიწერა 46 პატაკი, რის საფუძველზეც 40 შემთხვევაში, პატიმარს გამოეცხადა მაღლობა, 3 შემთხვევაში მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, 2 შემთხვევაში მიენიჭა დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება, ხოლო 1 შემთხვევაში პატიმარს მოეხსნა საყვედური.

მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია, უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების სხვადასხვა ფორმა, რათა სარეაბილიტაციო აქტივობებში უზრუნველყოფილი იყოს პატიმართა მეტი ჩართულობა. ამგვარი მიდგომა შეასუსტებს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენას და ხელს შეუწყობს პატიმართა რესოციალიზაციას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების დირექტორს:

1. მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები.
2. დაწესებულების სოციალურ განყოფილებაში დასაქმებულ ფსიქოლოგს შეუქმნას სათანადო სამუშაო პირობები.
3. სარეაბილიტაციო აქტივობებში პატიმართა მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უფრო ხშირად გამოიყენოს წახალისების ფორმები, მათ შორის, დამატებითი ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემის სახით.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების სოციალურ განყოფილების საშტატო ნუსხას დაემატოს ფსიქოლოგის ერთი საშტატო ერთეული.
2. პატიმრები, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნან თარჯიმნის მომსახურებით.
3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში გაძლიერდეს სარეაბილიტაციო აქტივობები.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო პერსონალის როლი

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება⁴ და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას და საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო და გარემო პირობებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებას და ინფორმაციას, გენდერულ თანასწორობას.

⁴ Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at <http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf> [last visit on 31.05.2014]

ჯანმრთელობის უფლება ასევე მოიცავს პირის უფლებას არ დაექვემდებაროს სამედიცინო მანიპულაციას მისი თანხმობის გარეშე და წამებას და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას. ჯანმრთელობის უფლების შინაარსიდან გამომდინარე, პირს უნდა მიუწვდებოდეს ხელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე; დაავადებათა პრევენციაზე, მკურნალობასა და კონტროლზე; მედიკამენტებზე; რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ძირითად მომსახურებებზე (თანაბრად და დროულად); ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და განათლებაზე. ჯანდაცვის სისტემის სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისაღები და ხარისხიანი.⁵

5.1. კვება და სასმელი წყალი

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადა. დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა. საკვების ხარისხთან დაკავშირებით, პაციმრებს არ გამოუთქვამთ არსებითი ხასიათის პრეტენზიები, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი პაციმარის განცხადებით, საკვები ერთფეროვანია და მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ შესაძლებლობა დამატებით შეიძინონ საკვები პროდუქტი. პაციმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირით. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე გადაამოწმეს მაღაზიაში არსებული პროდუქციის მრავალფეროვნება და აღმოჩნდა, რომ დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება არ ხდებოდა. დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით მომარაგებას ახორციელებს კომპანია „ჯი ემ ემ“.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

შეისწავლოს სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება.

5.2. დაწესებულების სამედიცინო პერსონალი

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში დღის მანძილზე მუშაობს 3 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 3 ექთანი და 1 მორიგე ექიმი. ღამის საათებში და შაბათ-კვირას დაწესებულებაში იმყოფება 1 მორიგე ექიმი და 1 მორიგე ექთანი. გამოკითხული პაციმრების განმარტებით, ღამის საათებში და შაბათ-კვირას, მათ აქვთ ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ პერიოდში მორიგე ექიმს და ექთანს უწევთ ყოფნა როგორც სამედიცინო ნაწილში, ასევე პაციმართა საცხოვრებელ კორპუსებში. დაწესებულების სამედიცინო ნაწილსა და N6 კორპუსს შორის

⁵ General comment N° 14 (2000) on the right to health, adopted by the Committee on Economic, Social and Cultural Rights.

დაშორება დაახლოებით 200 მეტრია. დაწესებულების მორიგე მედპერსონალს არ აქვთ სამუშაო ოთახი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ ისედაც რთულ და მძიმე სამუშაო პირობებს.

5.3. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა

ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლებადკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.⁶

ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვიწრო სპეციალიზაციის ექიმ-კონსულტანტებთან კონსულტაციაზე ჩაწერილი პაციენტების მოლოდინის დრო საკმაოდ ხანგრძლივია, რაც არ შეესაბამება სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდების სტანდარტს. ასე მაგალითად:

1. ერთ-ერთი პაციენტი აცხადებს, რომ 5 თვეა ითხოვს ენდოკრინოლოგის კონსულტაციას, თუმცა უშედეგოდ. დაწესებულებაში არ ხორციელდება ენდოკრინოლოგის ვიზიტები.
2. პაციენტი, რომელიც მოთავსებული იყო სამედიცინო ნაწილში ოპერაციის შემდგომ ჭრილობის გახსნის გამო, ორი კვირის განმავლობაში ელოდა ქირურგთან კონსულტაციას.
3. პაციენტი ჩაწერილია სპეციალისტთან კონსულტაციაზე 2014 წლის 6 სექტემბერს, მაგრამ კონსულტაციის შესახებ ექიმის ჩანაწერი სპეციალურ ჟურნალში საერთოდ არ იძებნება.
4. პაციენტი, რომელსაც აწუხებს ჰემოროიდული დაავადება, ჩაწერილია შესაბამის სპეციალისტთან კონსულტაციაზე 2014 წლის 16 სექტემბერს, მაგრამ კონსულტაციის შესახებ ჩანაწერი ამ შემთხვევაშიც არ ფიქსირდება.
5. კიდევ ორი პაციენტი ჩაწერილი იყო შესაბამისი პროფილის ექიმთან კონსულტაციაზე 2014 წლის 17 სექტემბერს, მაგრამ კონსულტაციის ჩატარების ფაქტი კვლავ ვერ დგინდება ასევე არ დგინდება.
6. ერთ-ერთი პაციმარი, რომელსაც აქვს პრობლემები ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ, აცხადებდა, რომ რამოდენიმე თვეა უშედეგოდ ელოდება ფსიქიატრის კონსულტაციას. ფსიქიატრთან ბოლო კონსულტაცია სამედიცინო ბარათში თარიღდება 2014 წლის 27 მარტით. ვინაიდან ფსიქიატრთან კონსულტაციაზე ჩაწერის ფორმაში აღნიშნული პაციმრის სახელი და გვარი მოცემული არ იყო, მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა, პაციმრის თანხმობით, პირველადი ჯანდაცვის ექიმს სთხოვეს ინფორმაციის მოწოდება.

⁶ Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

ექიმმა განაცხადა, რომ დაავიწყდა პაციენტის ჩაწერა კონსულტაციაზე და მეორე დღესვე გამოასწორებდა ამ ხარვეზს.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 16 ოქტომბერს ფსიქიატრთან კონსულტაცია გაიარა 40 პაციენტმა, 9 ოქტომბერს - 32 პაციენტმა, ხოლო 2 ოქტომბერს - 38 პაციენტმა. ერთ დღეში ამ რაოდენობის პაციენტთა კონსულტირების ფაქტი წარმოშობს გონივრულ ეჭვს კონსულტაციის მოცულობასა და ხარისხთან მიმართებით.

მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა შემთხვევები, როდესაც პაციენტებს არ უტარდებათ მკურნალობა დანიშნულების მიხედვით. ასე მაგალითად, ერთ-ერთ პაციენტს სპეციალისტის მიერ დანიშნული აქვს მკურნალობა ელექტროფორეზით, თუმცა დაწესებულებაში აპარატის არქონის გამო აღნიშნული მკურნალობა პაციენტს არ უტარდება. ასევე ერთ-ერთ პაციენტს, რომელსაც სასჯელაღსრულების სისტემაში ჯერ კიდევ 2012 წელს, „ავერსი“-ს კლინიკაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაუდგინდა ქვემო კიდურების ვენების ოკლუზია და მიეცა ანგიოლოგიური ოპერაციის ჩატარების რეკომენდაცია, დღემდე არ ჩატარებია ოპერაცია და უჭირს გადაადგილება.

დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სუიციდის პრევენციის პროგრამა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო წარმოების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს სამედიცინო პერსონალის სათანადო დაკომპლექტება და გონივრული სამუშაო განრიგის განსაზღვრა.
2. სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები.
3. პაციენტები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.
4. შესაბამისი საჭიროების მქონე პაციენტები უზრუნველყოფილი იქნან დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით, ასევე დაინერგოს სუიციდის პრევენციის პროგრამა.

5.4. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება და მომსახურების უწყვეტობა

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კონსულტაციების რეგისტრაციისა და აღრიცხვის დოკუმენტაცია მოუწესრიგებელია. ასე მაგალითად:

1. ფსიქიატრთან კონსულტაციაზე, ჩვენი ვიზიტის დღისათვის, ჩაწერილი იყო 27 პაციენტი, თუმცა ჩაწერის თარიღი მითითებული იყო მხოლოდ 9 პაციენტის

შემთხვევაში. ამდენად, რთული ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენი ხანი უწევს ლოდინი პაციენტს სამედიცინო მომსახურების მიღებამდე.

2. ერთ-ერთ პაციმარს, რომელიც ჩაწერილი იყო კონსულტაციაზე 2014 წლის 1 სექტემბერს, სპეციალისტის კონსულტაცია გაეწია 18 სექტემბერს, თუმცა სპეციალისტის ჩანაწერები არ იძებნება.

თვალშისაცემია პაციმრებსა და დაწესებულების სამედიცინო პერსონალს შორის კომუნიკაციის დეფიციტი. ასე მაგალითად: ერთ-ერთი პაციმარს, რომელიც 2 თვის წინ სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებიდან სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში, გადმოყვანამდე სამედიცინო პერსონალის მიერ ინფორმირებული იყო სამედიცინო რეფერალის მიერ ოპერაციის ჩატარების მიზნით ელექტრონულ ბაზაში შესაძლო რეგისტრაციის შესახებ, თუმცა რეგისტრაციაზე მოთხოვნის დადასტურების შესახებ ინფორმაციას პაციმარი არ ფლობდა. პაციმრის თანხმობით, მონიტორინგის ჯგუფის წევრები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაესაუბრნენ მთავარ ექიმს, რომელმაც განაცხადა, რომ პაციმარი დარეგისტრირებული იყო ელექტრონულ ბაზაში, თუმცა აღნიშნულის შესახებ მას არ მოუხდენია პაციმრის ინფორმირება.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისა და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

5.5. დაზიანების დოკუმენტირება და შეტყობინება

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი სრულყოფილად არ იყო შევსებული. გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

1. ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანება სრულყოფილად არ არის აღწერილი;
2. რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული დაზიანების წარმოშობის მიზეზი;
3. უმეტესად არ არის პაციმრის ხელმოწერა;
4. რიგ შემთხვევებში დაზიანების ხასიათი და ლოკალიზაცია არ შეესაბამება დაზიანების წარმოშობის მიზეზის შესახებ არსებულ მითითებას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

მიიღოს ყველა გონივრული ზომა, მათ შორის, შესაბამისი სწავლებისა და ინსტრუქციების მიცემის გზით, რათა სამედიცინო პერსონალმა მოახდინოს პაციმართა სხეულზე არსებული დაზიანებების

6. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ციხის ევროპული წესების თანახმად, დისციპლინური სახდელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.⁷ ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.⁸ ნებისმიერი სახდელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროპორციული.⁹ აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახველი სხვა სახდელები.¹⁰ ამასთან, დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.¹¹

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების თანამშრომელთა განმარტებით, საკნებში ხშირია პატიმართა შორის კონფლიქტი. ასეთი კონფლიქტების რაოდენობამ იმატა 2014 წლის სექტემბერში, სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებიდან, იქ ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების გამო, მსჯავრდებულთა გადმოყვანის შემდეგ.

დაწესებულებაში შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამართო საკანში მოთავსება რუტინულ პრაქტიკას წარმოადგენს. სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების თანამშრომელთა განმარტებით, ეს სახდელი, ნახევრად ღია დაწესებულების პირობებში, ყველაზე ეფექტიანია. ქვემოთ, ცხრილში მოცემულია სამართო საკანში მოთავსების შესახებ მონაცემები თვეების მიხედვით.

N	თვე	სამართო საკანი
1.	იანვარი	15
2.	თებერვალი	2
3.	მარტი	5
4.	აპრილი	6
5.	მაისი	11
6.	ივნისი	11
7.	ივლისი	11

⁷ ევროპული ციხის წესები, წესი 56.1

⁸ იქვე წესი 56.2

⁹ იქვე წესი 60.2

¹⁰ იქვე წესი 60.3

¹¹ იქვე წესი 60.4

8.	აგვისტო	17
9.	სექტემბერი	20
10.	ოქტომბერი	4
		სულ: 102

აღსანიშნავია, რომ აგვისტოსა და სექტემბერში დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევათა რიცხვი არსებითად არის გაზრდილი. დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დადგინდა, 28 შემთხვევაში მსჯავრდებულების მიმართ სამართლო საკანში მოთავსების მაქსიმალური ვადა, 20 დღე გამოყენებული იყო 28 შემთხვევაში, ამათგან 12 შემთხვევაში, მსჯავრდებული ვადაზე ადრე გათავისუფლდა სამართლო საკნიდან ექიმის ცნობის საფუძველზე. მთლიანობაში კი ექიმის ცნობით სამართლო საკნიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა 34 მსჯავრდებული.

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების თანამშრომელთა მიერ დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მზარდი პრაქტიკის სხვა დისციპლინური სახდელების არაეფექტიანობით ახსნა, ასევე სახდელების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში არსებობს დისციპლინური სახდელების პროპორციულობის პრინციპის დაცვით გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა. ამასთან, ექიმის დასკვნის საფუძველზე სამართლო საკნიდან მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე გათავისუფლების პრაქტიკა, ერთი მხრივ, ნათლად წარმოაჩენს, თუ რა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ამ სახდელის გამოყენება პატიმრის ჯანმრთელობაზე, ხოლო მეორე მხრივ, მიუთითებს პატიმართა მიმართ ზემოაღნიშნული დისციპლინური სახდელის აღსრულების პროცესში ექიმის მონაწილეობაზე, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს სამედიცინო პერსონალის რეპუტაციაზე და წინააღმდეგობაში მოვიდეს სამედიცინო პერსონალის პროფესიულ ეთიკასთან.

მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია სამართლო საკნებში ექიმის ხელმისაწვდომობის პრობლემასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ერთ-ერთ სამართლო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს დისციპლინური სახდელის სახით შეფარდებული ჰქონდა 3 დღით სამართლო საკანში მოთავსება. მსჯავრდებულს ჰქონდა ჯანმრთელობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებით მსჯავრდებულს დანიშნული ჰქონდა მედიკამენტები - „დიაზეპამი“ და „ტიზერცინი“. მსჯავრდებულის განმარტებით, ის დიდი ხანი ელოდა სამედიცინო პერსონალის მიერ აღნიშნული მედიკამენტების მიწოდებას, რის გამოც, პროტესტის ნიშნად საკნის კარზე დაიწყო ბრაზუნა, რაც შემდგომში გახდა მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. მსჯავრდებულის განცხადებით, სამართლო საკანში მასთან ექიმი არ მისულა.

პატიმრის თანხმობით მონიტორინგის ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების მორიგე-ინსპექტორს, რომელმაც გამოიძახა ექიმი. მოგვიანებით, მორიგე-ინსპექტორმა ჯგუფს აცნობა, რომ მსჯავრდებულის სამართლო საკანში მოთავსება გაუგებრობის გამო მოხდა და რომ მსჯავრდებული თავის საცხოვრებელ საკანში იყო გადაყვანილი.

2014 წლის 1 იანვრიდან 20 ოქტომბრის პერიოდში, შედგა 46 პატაკი, რის საფუძველზეც სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების დირექტორმა 40 შემთხვევაში გამოუცხადა მსჯავრდებულს მადლობა, 3 შემთხვევაში პატიმარს მიეცა დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, ამასთან, წახალისების სახით 2 შემთხვევაში პატიმრებს მიეცათ დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება, ხოლო ერთ შემთხვევაში მსჯავრდებულს მოეხსნა საყვედური.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების დირექტორს:

დისციპლინური სახდელის დაკისრებისას იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და სამართლო საკანში მოთავსება გამოიყენოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. შეისწავლოს სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მომეტებული პრაქტიკა და მიიღოს ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. მიიღოს სათანადო ზომები, რათა სამართლო საკანში მოთავსებული პატიმრის ექიმის მიერ მონახულება ხდებოდეს პატიმრობის კოდექსის 88-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

7. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.¹²

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინის გამყოფი ბარიერის მიღმა. პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. ოჯახის წევრებთან პაემნის უფლების განხორციელებას ხელს უშლის

¹² წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „რეზოლუციური“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

პატიმართა განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. დაწესებულებაში პაემნის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს აქვთ. აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს პრობლემები აქვთ ასევე ადვოკატთან შეხვედრის კუთხით.

2014 წლის 1 იანვრიდან 20 ოქტომბრამდე პერიოდში დაწესებულებაში განხორციელდა 604 ხანგრძლივი პაემანი. ხანგრძლივი პაემნის უფლებასთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების N14 დაწესებულების სოციალური განყოფილების თანამშრომლებმა მონიტორინგის ჯგუფს განუცხადეს, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამართაო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულს პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად უფლება არ ჰქონდა ერთი წლის განმავლობაში ესარგებლა ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, აგრეთვე იმ მსჯავრდებულს, რომელიც არის საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი ან/და შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა. ამკარად სახეზეა ზემოაღნიშნული პუნქტის არასწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან ამ პუნქტში საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი (დისციპლინური სახდელის ვადა გასული არ არის) და ხანგრძლივი პაემნის შეზღუდვა არ უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც გასულია დისციპლინური სახდელის ვადა, თუნდაც მსჯავრდებული სახდელდადებული ითვლებოდეს.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე.
2. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა არ მოხდეს პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მე-6 პუნქტის არასწორი განმარტება და უზრუნველყოს, რომ არ მოხდეს ხანგრძლივი პაემნის უფლების შეზღუდვა იმ გარემოების გამო, რომ პატიმარი ითვლება სახდელდადებულად.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა.